



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33

2017 წლის 28 დეკემბერი

ქ.ზუგდიდი

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

- ა) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისა და სქემატური რუკის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N4 დადგენილება;
- ბ) „ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სქემატური რუკის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 აგვისტოს N27 დადგენილება;
- გ) ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 აპრილის N23 დადგენილება.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია